ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37221101**
თარიღი:**20/04/2022**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო - ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების (მე-3 რანგის მეორე კატეგორიის უფროსს სპეციალისტს) საინფორმაციო - ანალიტიკური მომსახურების საკითხებში გენო ბაბილოძეს დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**მუხლი 1**. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, (მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსს სპეციალისტს)- საინფორმაციო მომსახურების საკითხებში, გენო ბაბილოძეს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, დამატებით დაეკისროს, ამავე საკრებულოს საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მე-4 რანგის უმცროსი სპეცილისტის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქციების შესრულება, 2022 წლის 14 აპილიდან 2022 წლის 31 მაისამდე. მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, დამატებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში, მიეცეს სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი